

**ორენოვანი ლექსიკონებისა და თარგმანის მნიშვნელობა უცხო ენების
სწავლებისათვის
(ინგლისური ენის მაგალითზე)**

*მარგალიტაძე თინათინი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1*

*ანტონინა კაპანაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1*

ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკოგრაფია ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უანრია და ერებსა და ენებს შორის კავშირის დამყარებას უწყობს ხელს. ორენოვანი ლექსიკონები, უპირატესად, უცხო ენების სწავლებასთან ასოცირდება და ითვლება, რომ ამ ტიპის ლექსიკონების დანიშნულება უცხო ენების სწავლის / სწავლებისა და უცხო ენებიდან თარგმნის სფეროებით იფარგლება. ნაკლებად ექცევა ყურადღება ორენოვანი აკადემიური ლექსიკონების მნიშვნელობას მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის საქმეში, მშობლიურ ენაზე გამართულად წერისა და მეტყველებისათვის. წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე რიგი პროცესები და ორენოვანი ლექსიკონების როლი ამ პროცესების მართვის საქმეში, რაც, თავის მხრივ, უცხო ენების სწავლების მეთოდებს უკავშირდება.

„ევალუაცია, ევიდენსი, სტაფი, ფართი, იმპლემენტაცია, ემერჯენსი, ურგენტული, აროგანტული, ბორდი, ფემენ-უიკი, კრეატიული, კასტინგი, რესეფშენი, იმპრესია, პრივატული ...“. ჩვენს თვალწინ ყოველდღიურად ძირძველ ქართულ სიტყვებს, ან ენაში უკვე ასიმილირებულ ნასესხებ სიტყვებს, ანაცვლებს ინგლისური ძირის ბარბარიზმები და ეს ტენდენცია უკვე თითქმის კანონზომიერებად იქცა, ძალადობს რა ქართულ ენაზე და ყოველდღიურად „ელაპავს“ რა რამდენიმე ქართულ სიტყვას.

ქართულ ენაში ინგლისური ბარბარიზმების უკონტროლო შემოდწევა, ენათა ისტორიის მცოდნე სპეციალისტებისათვის, არ არის აუხსნელი და გაუგებარი პროცესი. როდესაც ერთი ენა მჭიდრო კონტაქტში მოდის მეორე ენასთან გავლენა ბუნებრივია და გარდაუვალიც. ქართული ენის კონტაქტი სხვადასხვა ენებთან მისი ისტორიული განვითარების მანძილზე ყოველთვის ტოვებდა კვალს ქართული ენის ლექსიკაზე. შემდეგ ეტაპზე ენა თავად უკუაგდებდა ამ კონტაქტის შედეგად შემოსული ლექსიკის ნაწილს, ნაწილს კი იტოვებდა და ახდენდა მის ასიმილირებას თავის წიაღში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაში მიმდინარე ამ პროცესის მსგავს პროცესებს აქვს ადგილი სხვა ევროპულ ენებშიც. და მაინც რა არის ამ ტენდენციის ისეთი გაძლიერების მიზეზი, რომ იგი უკვე არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ რიგითი მოქალაქეების უკმაყოფილებასაც იწვევს. ამ ვითარების ერთ-ერთი მიზეზი, გარდა თანამედროვე ლექსიკონების ნაკლებობისა, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ქართული ენის მონიტორინგის არარსებობისა, გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორებისა, ჩვენი აზრით, არის უცხო ენების სწავლების მეთოდებიც, რომლებიც მაქსიმალურადაა ორიენტირებული მშობლიური ენის განდევნაზე სასწავლო პროცესიდან, თარგმანის როლის დაკნინებაზე, რასაც თან ახლავს ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკონების გამოყენების უარყოფა ერთენოვანი / მონოლინგუური ლექსიკონების სასარგებლოდ¹. ჩვენი აზრით, ინგლისური ბარბარიზმის გამოყენების მიზეზი, ხშირ

¹ თ. მარგალიტაძის მიერ 2012 – 2013 წლებში სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებისათვის ჩატარებული ტრენინგების დროს პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ მათ უკრძალავდნენ მშობლიური ენის გამოყენებას უცხო ენების სწავლებისას და თავად უარყოფითად აფასებდნენ ამ პოლიტიკას.

შემთხვევაში, არის ქართული ბუნებრივი ეკვივალენტის არცოდნა, მოსაუბრე ვერ არჩევს საჭირო ქართულ სიტყვას, რადგან მის ცნობიერებაში ესა თუ ის ინგლისური სიტყვა არ არის შესაბამისობაში მოყვანილი მის ბუნებრივ ქართულ ეკვივალენტთან: ევალუაცია (evaluation) - შეფასება; ევიდენსი (evidence) - მონაცემები, ფაქტები; სტაფი (staff) - თანამშრომლები; ფართი (party) - მიღება, წვეულება, დარბაზობა; იმპლემენტაცია (implementation) - განხორციელება; ემერჯენსი (emergency) - სასწრაფო დახმარება; ურგენტული (urgent) - სასწრაფო, გადაუდებელი; აროგანტული (arrogant) - ქედმაღლური; ბორდი (board) - საბჭო; ფეშენ-უიკი (fashion week) - მოდის კვირეული; კრეატიული (creative) - შემოქმედებითი; კასტინგი (casting) - მსახიობების შერჩევა; რესეფშენი (reception) - მიმღები; იმპრესია (impression) შთაბეჭდილება; პრივატული (private) - პირადი და მრავალი სხვა.

უცხო ენის სწავლების პროცესიდან მშობლიური ენის განდევნა, ერთი მხრივ, ხელს უშლის უცხო ენის სრულფასოვან შესწავლას, მეორე მხრივ კი, აზარალებს მშობლიურ ენას. უცხო ენის შესწავლა რთული პროცესია, მით უფრო ქართველისათვის ძნელია ინგლისური თუ სხვა ევროპული ენის შესწავლა, რადგან ქართული ენა არ არის ევროპული ენების მონათესავე ენა და მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან როგორც სტრუქტურულად, ისე აზრის გადმოცემის მანერით. უცხო ენის შესწავლის დროს ახალი ენობრივი მასალის, ახალი ინფორმაციის ათვისების გასაიოლებლად, რთული ამოცანის გასამარტივებლად უკიდურესად მნიშვნელოვანია ახალი ენობრივი (ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური) ინფორმაციის მიმართებაში მოყვანა ენის შემსწავლელისთვის ყველაზე კარგად ნაცნობ ენასთან, ანუ მშობლიურ ენასთან. ორენოვან, უცხოურ-მშობლიურ ლექსიკონს ესა თუ ის ახალი ლექსიკური ერთეული თუ სინტაქსური კონსტრუქცია ადვილად მოჰყავს მიმართებაში მშობლიურ ენასთან. ეს, ერთი მხრივ, აადვილებს სწავლის პროცესს, მეორე მხრივ კი, ენის შემსწავლელს აჩვევს მშობლიურ ენაზე უცხო ენის ბუნებრივი ლექსიკური თუ სინტაქსური ეკვივალენტების გამოყენებას და ესმარება მას გამართულად წეროს და იმეტყველოს მშობლიურ ენაზე, მშობლიურ ენას არ მოახვიოს თავს მისთვის არაბუნებრივი ფორმები. ეს პრობლემა კარგადაა ცნობილი უცხო ენების უფროსი თაობის ქართველი სპეციალისტებისათვის, რომლებიც უცხო ენებს, შესაბამისი ქართულენოვანი ლექსიკონების არარსებობის გამო, რუსულენოვანი ლექსიკონებით ეუფლებოდნენ. ამის შედეგად, უცხო ენის ქართველი შემსწავლელის ცნობიერებაში უცხო სიტყვა შესაბამისობაში იყო მოყვანილი შესაბამის რუსულ და არა ქართულ ეკვივალენტთან. იმ პერიოდში ქართული ენა ზარალდებოდა რუსული ენისა და რუსულენოვანი ლექსიკონების გამო, ახლა კი ზარალდება ინგლისურ ენასთან მიმართებით. რასაც საბჭოთა პერიოდში აფუჭებდა რუსულენოვანი ლექსიკონები, ახლა იმასვე აკეთებს ინგლისური ენის სწავლების პროცესში მხოლოდ ინგლისური ენის მონოლინგვური ლექსიკონების გამოყენება.

ინგლისური ენის ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ინფორმაციის მიმართებაში მოყვანა ქართულ ენასთან მნიშვნელოვანია ენებს შორის არსებული სემანტიკური ასიმეტრიის პრობლემის გათვალისწინებითაც.

ქართულ და ინგლისურ ენაში ძნელად მოიძებნება თითქოს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები, რომელთა სემანტიკა სრულად ფარავს ერთმანეთს. ინგლისური ენის რომელიმე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, შესაძლოა ქართული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ერთ ნაწილს მიესადაგოს, ხოლო მისი სხვა ნაწილები სრულიად სხვა სიტყვებს დაუკავშირდეს,

მაგ.:

a military facility სამხედრო ობიექტი; *a storage facility* სასაწყობე სათავსო / ფართი, საწყობი; *a parking facility* ავტომანქანის სადგომი / დასაყენებელი ადგილი; *a research facility* კვლევითი დაწესებულება;

thick book სქელი წიგნი; *thick forest* დაბურული / გაუვალი ტყე; *thick population* მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა; *thick darkness* თვალშეუვალი / უკუნი სიბნელე;

rough road ოღროხოლო გზა; *rough edges* უსწორმასწორო კიდეები; *rough skin* ხორკლიანი / ხეშეში კანი; *rough cloth* უხეში / მქისე ქსოვილი; *rough hands* უხეში / დაკოჟრებული ხელები.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ერთი და იგივე ინგლისური სიტყვა, სხვადასხვა კონტექსტში, ქართულად თარგმნისას, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ქართულ ეკვივალენტს მოითხოვს. ეს არის ენობრივი ნორმა, ანუ კანონზომიერება და ამგვარი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. სემანტიკური ასიმეტრიისა და ენობრივი ეკვივალენტობის პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში მიექდვნა მოხსენებები ბათუმის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში² და ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-15 საერთაშორისო კონგრესზე ოსლოში³. ამდენად, ერთი ინგლისური სიტყვისათვის ერთი ქართული ეკვივალენტის შესწავლა სრულიად არ არის საკმარისი მოცემული ინგლისური სიტყვის ასათვისებლად და მუდმივად საჭიროა ორენოვანი ლექსიკონის გამოყენება, რათა სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებული ინგლისური სიტყვა სწორ ქართულ ეკვივალენტს დაუკავშირდეს უცხო ენის შემსწავლელის ცნობიერებაში.

ჩვენი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შევეცადათ ექსპერიმენტულად გადაგვემოწმებინა. ამ მიზნით ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა უცხო ენების სწავლებისას / სწავლისას ლექსიკონის ტიპის ეფექტიანობის დადგენას, კერძოდ იმის გამოკვლევას, თუ რომელი ტიპის ლექსიკონი არის ყველაზე ეფექტიანი ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელისათვის - ერთენოვანი ანუ განმარტებითი ლექსიკონი, თარგმნითი / ორენოვანი, ჩვენს შემთხვევაში ინგლისურ-ქართული თუ განმარტებით-თარგმნითი, ანუ კომბინირებული, რომელშიც ინგლისურ სიტყვა ახსნილია როგორც ინგლისურენოვანი განმარტებით, ისე ეკვივალენტით ქართულ ენაზე - ერთი მხრივ, ინგლისური ენის სიტყვების გაგების, მეორე მხრივ კი, მათი დამახსოვრებისა და მათ სწორ კონტექსტში გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული ექსპერიმენტი დეტალურადაა აღწერილი ორენოვან სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგში“ გამოქვეყნებულ სტატიაში⁴.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევას საფუძვლად დაედო ლაუფერისა და ჰადარის ექსპერიმენტი⁵, რომელიც მათ 1997 წელს ჩატარეს ისრაელში და იმავე ექსპერიმენტის მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც 2011 წელს იუჟენ ჩენმა ჩატარა ჩინეთში⁶. აღნიშნული ორი ექსპერიმენტის საფუძველზე შევიმუშავეთ

² მარგალიტაძე 2012 ა

³ მარგალიტაძე 2012 ბ

⁴ კაპანაძე 2014

⁵ Laufer & Hadar 1997

⁶ Yuzhen Chen 2007

კვლევის ჩვენი ვერსია, რომელიც 2014 წლის ოქტომბერში ჩავატარეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, ყველაზე შედეგიანი ლექსიკონი ქართველი მომხმარებლისათვის აღმოჩნდა ორენოვანი და კომბინირებული (განმარტებით-თარგმნით) ლექსიკონი. ეს შედეგები ბუნებრივიცაა, რადგან ორივე ლექსიკონი შეიცავს ინგლისური სიტყვის ეკვივალენტს მშობლიურ ენაზე, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან მნიშვნელოვანია უცხო ენის სიტყვების სათანადოდ გაგებისა და შეთვისებისათვის.

ჩვენი ექსპერიმენტის დაგეგმვისას ასევე განვიზრახეთ დაგვიკვირებოდა ქართველი ახალგაზრდების ინგლისურიდან ქართულად თარგმნის უნარს. ამ მიზნით სავარჯიშოების ტიპებს დავუმატეთ ინგლისური წინადადებების ქართულად თარგმნის სავარჯიშო საკვლევი სიტყვების გამოყენებით. სამწუხაროდ, ჩვენი ჰიპოთეზა გამართლდა და ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ექსპერიმენტის მონაწილეთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს გაუჭირდა. იმ ცდისპირებსაც კი, რომელთაც კარგად გაართვეს თავი სხვა სავარჯიშოებს, სათარგმნ წინადადებებში, ხშირ შემთხვევაში, საკვლევი სიტყვა სწორად თარგმნეს, გაუჭირდათ ინგლისური წინადადებების ქართულად გამართული, ბუნებრივი ქართულით თარგმნა. გასწორებულ ნაშუქებზე დაკვირვებამ ასევე დაგვანახა პრობლემები ინგლისური სინტაქსური კონსტრუქციების ქართულად თარგმნისას, რამაც კარგად გამოავლინა ის, რაზეც ზემოთ ვწერდით, რომ საჭიროა ინგლისური ლექსიკური, გრამატიკული და სინტაქსური ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანა ქართულ ენასთან. კვლევის ამ ნაწილმა დაადასტურა თარგმანის დიდი საჭიროება უცხო ენის სწავლებისას.

ჩვენმა ექსპერიმენტმა დაგვანახა ის საკითხები, რაც, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ინგლისური ენის, არამედ სხვა უცხო ენების სწავლებისას, კერძოდ:

1. უცხო ენების ქართველი შემსწავლელებისათვის უნდა შეიქმნას სახელმძღვანელოები, რომლებიც მიზნად დაისახავს სწორედ ზემოხსენებული პრობლემის მოგვარებას, უცხო ენის ინფორმაციას შესაბამისობაში მოიყვანს მშობლიურ ენასთან და სავარჯიშოებში გათვალისწინებული იქნება თარგმანი: უცხო ენიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან უცხო ენაზე;
2. უცხო ენის შემსწავლელს პედაგოგებმა უნდა გამოუმუშაონ უცხო ენის ტექსტთან მუშაობის ჩვევები ლექსიკონების გამოყენებით: როგორც ორენოვანი, ისე განმარტებითი ლექსიკონების გამოყენებით;
3. უცხო ენის შემსწავლელებს, სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატში, პედაგოგებმა უნდა შეასწავლონ ლექსიკონის გამოყენება; მიაწოდონ ინფორმაცია როგორც მშობლიურ ენაზე, ისე უცხო ენაზე შექმნილ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებზე, მათ შორის ორთოგრაფიულ, უცხო სიტყვათა და სხვა ლექსიკონებზე;
4. უცხო ენების სწავლებისას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს უცხო ენასა და ქართულ ენას შორის არსებული სემანტიკური ასიმეტრიის საკითხებს, პოლისემიას, ომონიმიას, რათა უცხო ენის შემსწავლელი სწორად მიუდგნენ ახალი სიტყვების შეთვისებას და შეძლონ გაიმდიდრონ ლექსიკა;
5. საჭიროა ორენოვანი აკადემიური ლექსიკონების პოპულარიზაცია, არა მხოლოდ როგორც უცხო ენის შეთვისების საშუალებისა, არამედ როგორც მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისა;
6. უცხო ენის სწავლებასთან ერთად საჭიროა მშობლიური ენის მიმართ სიყვარულის და მზრუნველობის გაღვივება ქართველ ახალგაზრდებში, ქართული ენის მდიდარი ლექსიკური შესაძლებლობების წარმოჩენა,

მუდმივი ზრუნვა იმაზე, რომ უცხო ენის შეთვისებასთან ერთად ქართველი ახალგაზრდა მიეჩვიოს ქართულ ენაზე გამართულად, კარგი ლექსიკით მეტყველებას.

მითითებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე 2014: კაპანაძე ა. 2014, განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ტიპის ლექსიკონების ეფექტიანობა ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელებისათვის (კვლევის შედეგები), *ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“*, № 7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/ge/journal/inner/89>
2. მარგალიტაძე 2012 ა: მარგალიტაძე თ. 2012 ა. ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრის გზები დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში, *ლექსიკოგრაფიაში მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*. ბათუმი, 122 – 123.
3. მარგალიტაძე 2012 ბ: მარგალიტაძე თ. 2012 ბ. დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი: მეთოდები, პრინციპები, თანამედროვე ტექნოლოგიები, *ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მე-15 საერთაშორისო კონგრესი*. ოსლო, 764 – 770. http://www.euralex.org/proceedings-toc/euralex_2012/
4. Laufer & Hadar: Laufer, B. and L. Hadar. ‘Assessing the Effectiveness of Monolingual, Bilingual and Bilingualised Dictionaries in the Comprehension and Production of New Words’. *The Modern Language Journal*. 81.2: 189-196, 1997.
5. Yuzhen Chen 2007: Chen, Yuzhen. ‘A Survey of English Dictionary Use by English Majors at Chinese Universities’. *Lexicographical Studies*, 2:120-130, 2007.